ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გიგო“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1995 წლის 24 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 204863175.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების საცალო რეალიზაცია. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ნ. ყიფშიძის ქ. N2.

კომპანიის დამფუძნებლები საანგარიშგებო პერიოდისათვის არიან: გოჩა სულთანიშვილი (პ/ნ 01011011982) _ 70%; ელვარა კაჭკაჭაშვილი (პ/ნ 01026002982) _ 30%. დირექტორი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის გახლდათ გიორგი პირველი (პ/ნ 01007003903), ხოლო ანგარიშგების წარმოდგენის მომენტისთვის კომპანიის დირექტორია დავით ზვიადაძე (პ/ნ 60001006316). ,საწესდებო კაპიტალი შეადგენს 20 000 ლარს.

შვილობილი საწარმო კომპანიას არ გააჩნია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება კლებადი ნაშთის მეთოდით.

2.2) არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

2.3) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღრებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

2.4) დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2.5) შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

2.6) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.7) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.8) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.9) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	79 373	34 072	33 553
სავაჭრო მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები	139 310	137 036	146 105
- მზა პროდუქცია			
- სხვა	139 310	137 036	146 105
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	64 327	158 879	85 492
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	478 245	498 522	514 954
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	761 255	828 509	780 104

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	236 016	378 004	320 563
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	236 016	378 004	320 563

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	20 000	20 000	20 000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	505 239	430 505	439 541
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)			
სულ საკუთარი კაპიტალი	525 239	450 505	459 541
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	761 255	828 509	780 104

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2019 წლის საანგარიშგებო პერიოდი	2018 წლი საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	6 351 606	7 099 559
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
	(5 607 024)	(6 541 031)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	137 036	146 105
საწყისი მარაგები	5 609 298	6 531 962
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები	139 310	137 036
საბოლოო მარაგები	744 582	558 528
საერთო მოგება		
სხვა შემოსავალი	(469 404)	(370 164)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(24 977)	(29 907)
ცვეთა და ამორტიზაცია		
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი	(175 467)	(167 493)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(669 848)	(567 564)
სულ საოპერაციო ხარჯები		
	74 734	(9 036)
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	74 734	(9 036)
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მოგება/(ზარალი)		
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
	450 505	459 541
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	525 239	450 505
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	2019 წლის საანგარიშგებო პერიოდი	2018 წლის საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	45 301	519
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	45 301	519
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	34 072	33 553
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	79 373	34 072